26
ივლისი
ოთხშაბათი,
1961 წ.
№ 107 (1743)
გამოცემის მე-17 წელი.
ფასი 3 კაპ.



სურათზე: „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს თასის გათამაშების ლიდერი ნ. სალაძე ასრულებს ვარჯიშს.

ფოტო მ. ზარგარიანცისა.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-2 გვ.).

# გაიხსნა ახალგაზრდობის ფორუმი

დღეს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ახალგაზრდობის მსოფლიო ფორუმი, რომელშიც მონაწილეობს სხვადასხვა ქვეყნის 700-ზე მეტი ახალგაზრდა. მოსკოვის ახალგაზრდობის ფორუმი განიხილავს საკითხს — XX საუკუნის ახალგაზრდობა და მისი პრობლემები; მშვიდობისათვის, განიარაღებისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლა და სხვ.

სულ სხვადასხვა პირობებში უხდებათ ცხოვრება მსოფლიოს ქვეყნების ახალგაზრდებს. ისინი იმედის თვალით უყურებენ საბჭოთა ქვეყნის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, რომლებიც ბედნიერად ცხოვრობენ, ენერგიის დაუზოგავად იბრძვიან ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის გამარჯვებისათვის, სხვადასხვა ეროვნების, ფერისა და რწმენის ახალგაზრდობის დამეგობრებისათვის.

დიდი დაბრკოლებების გადალახვა მოუხდათ კაპიტალისტური ქვეყნების ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, რომ მოსკოვის ფორუმში მიეღოთ მონაწილეობა. მათ მაინც მოახერხეს ჩამოსულიყვნენ ჩვენი სოციალისტური ქვეყნის დედაქალაქში, რათა სხვებთან ერთად განეხილათ დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ამჟამად მსოფლიოს ახალგაზრდობას აღელვებს.

ახალგაზრდობის ამ დიდ ზეიმში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც — საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე, საქართველოს სსრ ახალგაზრდათა ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარე პოეტი ჯ. ჩარკვიანი. ისინი მონაწილეობას მიიღებენ ფორუმის სხვადასხვა კომისიის მუშაობაში. ამას გარდა მოსკოვს გაემგზავრნენ თბილისის თვითმოქმედი კოლექტივები, რომლებიც კონცერტებს გამართავენ ახალგაზრდობის ფორუმის მონაწილეთათვის.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

# ტურინის საფარიკაო ბილიკებზე

ერთდღიანი შესვენების შემდეგ იტალიის ქალაქ ტურინში განახლდა მსოფლიო პირველობის გათამაშება ფარიკაობაში, რომელშიც მონაწილეობს 22 ქვეყნის ასზე მეტი სპორტსმენი.

დაშნით შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის გუნდი წარმოდგენილი იყო ასეთი შემადგენლობით: მსოფლიო ჩემპიონი ხაბაროვი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი კოსტავა, ჩერნუშევიჩი, ჩერნიკოვი და ლუკინი. მეოთხედფინალში მოულოდნელი დამარცხება განიცადა ჩემპიონატის ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმა კოსტავამ. იგი გამოეთიშა შეჯიბრებას. მეოთხედფინალში შეჯიბრებას განაგრძობენ დანარჩენი საბჭოთა მოფარიკავეები.

# ახალი ჩემპიონები

უჟგოროდი. (ჩვენი სპეც. კორესპონდენტი). აქ დამთავრდა მოტოციკლისტთა საკავშირო ექვსდღიანი შეჯიბრება. სხვადასხვა კლასის მანქანებით, შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ა. სიროტინმა (ლენინგრადი), ვ. სიომინმა, ვ. ტატარინოვმა (ორივე მოსკოვიდან), ვ. ფედოტოვმა (ყირგიზეთი). აღსანიშნავია, რომ ზემოთჩამოთვლილი მოტოციკლისტები პირველად გახდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა ლენინგრადის სპორტსმენთა კოლექტივი. მეორე ადგილი მოიპოვეს საქართველოს მოტოციკლისტებმა.

# „დინამოს" 3 გამარჯვება

რიგაში გრძელდება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის უძლიერესი კოლექტივები. შეჯიბრებაში გამოდის აგრეთვე „დინამოს" ცენტრალური საბჭოს უცვლელი ჩემპიონი თბილისის „დინამო".

ქართველმა კალათბურთელებმა უკვე ჩაატარეს რამდენიმე შეხვედრა და ყველა მოიგეს. დინამოელებმა დაამარცხეს უკრაინელი სპორტსმენები — 84:51, ლიტვის გუნდი — 93:68 და ესტონელი კალათბურთელები — 87:55.

# დანდობილი ფალავანი

## ძველი მასწავლებლის ნაამბობიდან

...მართალია, ვანო ბარ...ლაშვილი ახლა ცოც...ლი არ არის, მაგრამ ...ს სოფელში იგი ყველას ახსოვს. ...ს ხომ ქართველ მასწავლებელ... იმ თაობას ეკუთვნოდა, ვინც ...რველი წავიდა სოფელში და იქ ...ოხო, ქუდის ამარა, ქალამნებდა...ვეთილი პატარა ბალღების გულ... კაცურ კაცობაზე, მართალი კა...ს ალალ საქმეზე ფესვმაგარი ...ართული სიტყვა დათესა.

...ვანო მასწავლებელი ჩვენ დრო...დე ცოცხალ მატიანედ მოვიდა ...ა თან მრავალი დაუწერელი ამ...ავი მოიტანა თავის დიდ თანამე...დროვეებზე.

...რა კარგი იყო იგი, როცა მო...ვითხრობდა სიჭაბუკის წლების ...ამებს...

* * *

...კავთობა იყო კავთისხევში: დღე...ობა ერმრავალი და დოვლათიანი. ...დღეობას ზნო იმანაც შემატა, რომ ...მ დღეს ჩამოვიდნენ აქაური მკვი...დრნი ნიკო ცხვედაძე და იმ დრო...ისათვის ცნობილი საზოგადო მო...ღვაწე ვანო ჯაჯანაშვილი — კავ...თელად წოდებული.

...ევროპულად გამოწყობილ სასუ...რველ სტუმრებს მესამე პირიც ახ...ლდათ: მხარბეჭიანი, დარბაისელი, ...შინდისფერჩოხიანი, პირდაპირ და ...ჭიჭურად მომზირალი.

...ვანო და ნიკო მას ხან ლუკას ...ეძახდნენ, ხან ვაჟას.

...სტუმრების მეგზური და გულუხ...ვი მასპინძელი ვანო ბარკალაშვილი ...იყო.

...ქართლში დღეობის გვირგვინს ...ჭიდაობა წარმოადგენდა. ჭიდაობის ...გარეშე დღეობა წარმოუდგენელი ...იყო და კავთისხევშიც მოვიდნენ ...ჩადუღაბებული გორელი და ნიჩ...ბისელი მოჭიდავეები, ნოსტელი ...და ურბნელი, გლდანელი და მეტე...ხელი ფალავნები.

...კავთისხეველები ცდილობდნენ ...არ შეერცხვინათ სოფელი და ...მედი ლუკა იაშვილზე და ცალქა...ლამანიძეზე ამყარებდნენ. სამი მოჭიდავე გადმოიღო კისრულით ლუკა იაშვილმა, მაგრამ მეოთხემ მკლავი ატკინა და იმ დროს, როდესაც სხვა სოფლელებმა მოედანზე ნარჩევი ბიჭების გამოყვანა იწყეს, კავთისხეველთა იმედი ცალქალამანიძელა იყო...

...ვანო ჯაჯანაშვილს გაშლილ სუფრასთან გულმა აღარ გაუძლო და საჭიდაოს მიაშურა. მზემ, როცა საშუადღეოზე გადაიწია, მაშინღა გამოჩნდა გახარებული, თვალებგაბრწყინებული ვანო. ვიღაც გოლიათი მოყავდა ახალუხის ამარა, მხარზე ჩოხაგადაგდებული.

—დამილოცეთ ვაჟკაცი! — ყვიროდა ვანო, — წრიდან გამოუსვლელად ოთხი კაცი წააქცია.

თამადას აღარ დააცადა, თიხის ჯამი აილო; საქართველო ადღეგრძელა, ასეთ ლომებს რომ ზრდიხო, და ზედ ვაჟას რომელიღაც ლექსი მიაყოლა; მერე შეჩერდა და აღარც დასცალდა ამ ლექსის დამთავრება.

იქვე, პაპის მუხლებში ჩაკუნტულმა პატარა, ნაბდისქუდიანმა ბიჭმა მასწავლებელს — ვანო ბარკალაშვილს გადახედა და ბოლომდე წაიტიკტიკა შეწყვეტილი ლექსი.

ნიკო ცხვედაძემ შუბლზე აკოცა ბიჭუნას და უთხრა: ეგ ლექსი აი, იმ ჩოხიანმა ძიამ დაწერაო.

— არაფერიც, — გათამამდა ბავშვი, — ეგ კაცი ძია ლუკაა, ლექსი კი ვაჟა-ფშაველამ დაწერა.

გახალისდა ვაჟა, გულუხვი მასპინძელი ადღეგრძელა.

— დაილოცა კავთისწყალი, ცოტა იმიტომ მოდის, რომ ფოლადის ხერხემლიან, ჯიშიან ბიჭებს ზრდის, აგრე მადლიანად რომ შეუნახავთ ქართული ენაო.

ჩოხიანმა გოლიათმა მოხიბლა სუფრა და თამადამ განმეორებით ადღეგრძელა უცხო სტუმარი — ახლა უკვე ვაჟა-ფშაველად.

ნაცადი ფალავანი — ცალქალამანიძე ყველას წუთით დაავიწყდა და ხოტბას ჩვეულმა სუფრას ბრიყვულად გასძახა:

— ლექსაობა რა ვაჟკაცის ხელობააო.

გაბრაზდა ფშაველი გოლიათი, მის თვალებში მრისხანების ნაპერწკლები აკიაფდა, მხრები შეარხია და გრგვინვით ჩაიბუბუნა:

—შენზე ნაკლები ვაჟკაცი ყორნის საძიძგნიმც გამხდარაო.

მერე საქმე იქამდე მივიდა, რომ წრე გაფართოვდა, დოლი აბაგუნდა და ხალხი შემოერტყა საჭიდაოს! ხუმრობა ხომ არ იყო, წრეში ვაჟა-ფშაველა გადადიოდა.

გულდაგულ შეება ორი ვაჟკაცი ერთმანეთს, გაავებული ცალქალამანიძე ჯიქურ მიეტია მოპირდაპირეს. ვაჟამ რამდენიმეჯერ წამოიღო მოგვერდით მოპირდაპირე, მაგრამ საკვირველი იყო, არც ერთხელ ზურგზე არ დაუცია. მაყურებელს კი არც ვაჟას წაქცევა უნდოდა, ვერც თანასოფლელს იმეტებდნენ გასალახავად.

ხანშიშესულმა მსაჯებმა წესით დათქმულ დროზე ადრე გააშველეს მოჭიდავეები, ორთავე კარგი ბიჭები არიანო.

მერე ცალქალამანიძე ჩოხაგაუხდელ ვაჟას გადაეხვია:

— ღვთის სწორი კაცი ყოფილხარ, ბრიყვულად მოვიქეცი და უნდა მაპატიო... რაკი დამინდე, სტუმრად მეწვიე, ჩემ ოჯახში პური გატეხე.

ვანო ჯაჯანაშვილმა სასურველი სტუმარი არავის დაუთმო, ოღონდ პურმარილზე შენდობილი ფალავანიც მიიწვია. ჯაჯანაანთ ეზოში გაიშალა მწვანე სუფრა; ცალქალამანიძე ყანწებს უვსებდა სტუმარს.

— ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი უნდა ხისაო, თოლნი ვაჟკაცებრ მხედველი... — გასძახა სუფრას მასპინძელმა.

ქეიფი გვიან სალამომდე გაგრძელდა. ვაჟას სუფრიდან ფეხი არ მოუცვლია, კარგად მოილხინა პოეტმა.

* * *

მეტი არაფერი უთქვამს ჩვენს მასწავლებელს, ეს კი დაუმატა — ვაჟამ მარტო სიტყვა კი არა, საქმეც ვაჟკაცური იცოდაო.

ი. ზაქარიაშვილი.



1861 ვაჟა-ფშაველა 1961

# ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია

1961-1964 წლებისათვის

* * * *

# მძლეოსნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სათანრიგო ნორმები და მოთხოვნები

### ვაჟები

| სახეობა | თანრიგი: სპორტის ოსტატი | I | II | III | ჭაბუკთა I | ჭაბუკთა II |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რბენა** | | | | | | |
| 60 მ | — | — | 7,1 | 7,5 | 7,8 | 8,2 |
| 100 მ | 10,4 | 10,8 | 11,4 | 12,1 | 12,6 | 13.0 |
| 200 მ | 21,4 | 22,4 | 23,6 | 25,0 | 25,6 | 26,4 |
| 300 მ | — | — | 37,5 | 39,6 | 43,0 | 46,0 |
| 400 მ | 47,6 | 49,6 | 52,5 | 55,0 | 60,0 | 64,0 |
| 600 მ | — | — | — | 1.34,0 | 1.42,0 | — |
| 800 მ | 1.48,5 | 1.55,0 | 2.02,0 | 2.10,2 | 2.20,0 | — |
| 1.000 მ | — | 2.30,0 | 2.40,0 | 2.52,0 | 3.10,0 | — |
| 1.500 მ | 3.46,0 | 3.55,0 | 4.17,0 | 4.58,0 | — | — |
| 3.000 მ | — | 8.40,0 | 9.10,0 | 9.50,0 | — | — |
| 5.000 მ | 14.05,0 | 14.50,0 | 15.50,0 | 17.00,0 | — | — |
| 10.000 მ | 29.40,0 | 31.30,0 | 33.30,0 | 36.00,0 | — | — |
| 110 მ თარჯრბენი (106) | 14,4 | 15,4 | 16,5 | 18,0 | 18,8 | — |
| 110 მ თარჯრბენი (91,4) | — | — | 15,4 | 16,4 | 17,0 | 17,8 |
| 110 მ თარჯრბენი (1.00) | — | — | 15.8 | 16,8 | 17,5 | 18,5 |
| 200 მ თარჯრბენი | 23,6 | 24,6 | 26,0 | 27,5 | 29,0 | 30,0 |
| 300 მ თარჯრბენი | — | — | — | 46,0 | 48,0 | — |
| 400 მ თარჯრბენი | 52,5 | 55,0 | 59,0 | 64,0 | — | — |
| 3.000 მ დაბრკოლებები | 8.50,0 | 9.15,0 | 9.45,0 | 10.30,0 | — | — |
| **მარათონი** | 2:25,00 | 2:35,00 | 3:10,00 | — | — | — |
| 30 კმ გზატკეცილი | — | 1:45,00 | 1:54,00 | 2:12,0 | — | — |
| **კროსი** | | | | | | |
| 8 კმ | — | 26.30,0 | 28.50,0 | 31.55,0 | — | — |
| 5 კმ | — | 16.10,0 | 17.20,0 | 18.50,0 | — | — |
| 3 კმ | — | 9,40,0 | 10.10,0 | 11.00,0 | — | — |
| 2 კმ | — | — | — | 6.20,0 | 6.40,0 | — |
| 1 კმ | — | — | 2.55,0 | 3.05,0 | 3.15,0 | 3.20,0 |
| 800 კმ | — | — | — | 2.14.0 | 2.25.0 | 2.30,0 |
| **ხტომები** | | | | | | |
| სიმაღლეზე | 2,00 | 1,90 | 1,75 | 1,55 | 1,50 | 1,40 |
| სიგრძეზე | 7,55 | 7,00 | 6,50 | 5,70 | 5,40 | 5.00 |
| სამხტომი | 15,75 | 14,90 | 13,90 | 12,80 | 12,00 | — |
| ჭოკი | 4,40 | 4.00 | 3.60 | 3,10 | 2,80 | 2,40 |
| **ტყორცნა და კვრა** | | | | | | |
| 2 კგ ბადრო | 54,00 | 47,00 | 40,00 | 33,00 | 30,00 | — |
| 1,5 კგ ბადრო | — | — | 45,00 | 40,00 | 34,00 | 29,00 |
| 800 გ შუბი | 73,00 | 65,00 | 55,00 | 45,00 | 39,00 | — |
| 600 გ შუბი | — | — | 60,00 | 50,00 | 43,00 | 36,00 |
| 7,257 კგ ურო | 62,00 | 56,00 | 48,00 | 38,00 | — | — |
| 6 კგ ურო | — | — | 50,00 | 42,00 | 38,00 | — |
| 5 კგ ურო | — | — | — | — | 43,00 | — |
| 700 გ ყუმბარა | — | — | 65,00 | 55,00 | 45,00 | — |
| 500 გ ყუმბარა | — | — | — | 60,00 | 50.00 | 40,00 |
| 7,257 კგ ბირთვი | 17,00 | 15,00 | 13,50 | 11,00 | — | — |
| 6 კგ ბირთვი | — | — | 14,50 | 13,00 | 11,00 | — |
| 5 კგ ბირთვი | — | — | — | 14,00 | 12,00 | 10,50 |
| **ათჭიდი** | 6.800 | 5.600 | 4.800 | 3.800 | — | — |
| **რვაჭიდი** (100 მ, სიგრძე, ბადრო, სიმაღლე, 110 მ თარჯრბენი, ჭოკი, შუბი, 800 მ) | — | — | 3.800 | 3.000 | 2.600 | — |
| **ექვსჭიდი** (100 მ, სიგრძე, ბადრო, 110 მ თარჯრბენი. ბირთვი, ჭოკი) | — | — | 3.000 | 2.400 | 2.000 | 1.800 |
| **ოთხჭიდი** (100 მ, სიგრძე, ბადრო, შუბი) | — | — | 2.200 | 1.800 | 1.400 | 1.200 |
| **სამჭიდი** (100 მ, სიმაღლე, ბირთვი 5 კგ) | — | — | — | — | 1.200 | 900 |
| **რბენა** | **ქ** | **ა** | **ლ** | **ე** | **ბ** | **ი** |
| 60 მ | — | — | 8,0 | 8,5 | 8,8 | 9,2 |
| 100 მ | 11,7 | 12,3 | 12,8 | 13,6 | 14,2 | 14,6 |
| 200 მ | 24,2 | 25,2 | 26,5 | 28,5 | 30,0 | 31,0 |
| 300 მ | — | — | 44,0 | 46,0 | 50,0 | 52,5 |
| 400 მ | .56,0 | 58,5 | 1.01,0 | 1.05,0 | — | — |
| 800 მ | 2 09,0 | 2.16,0 | 2.24,0 | 2.34,0 | — | — |
| 80 მ თარჯრბენი | 11,0 | 11,5 | 12,2 | 13,2 | 14,0 | 14,6 |
| **კროსი** | | | | | | |
| 2 კმ | — | 7.05,0 | 7.30,0 | 8.10,0 | — | — |
| 1 კმ | — | 3.05,0 | 3.25,0 | 3 50,0 | — | — |
| 500 მ | — | — | 1.25,0 | 1.32,0 | 1.40,0 | 1.47,0 |
| **ხტომები** | | | | | | |
| სიმაღლეზე | 1,65 | 1,55 | 1,45 | 1,30 | 1,25 | 1,20 |
| სიგრძეზე | 6,00 | 5,70 | 5,15 | 4,50 | 4,20 | 4,00 |
| **ტყორცნა** | | | | | | |
| 1 კგ ბადრო | 49,00 | 44,00 | 37,00 | 30,00 | 26,00 | 23,00 |
| 600 გ შუბი | 51,00 | 45,00 | 38,00 | 33,00 | 26,00 | 23,00 |
| 500 გ შუბი | — | — | — | 35,00 | 28,00 | 24,00 |
| 700 გ ყუმბარა | — | — | 40,00 | 35,00 | — | — |
| 500 გ ყუმბარა | — | — | — | — | 35,00 | 30,00 |
| **კვრა** | | | | | | |
| 4 კგ ბირთვი | 15,00 | 13,50 | 12,00 | 10,00 | 9,00 | 7,50 |
| 3 კგ ბირთვი | — | — | — | 11,00 | 10,00 | 8,50 |
| **ხუთჭიდი** | 4.500 | 4.000 | 3.400 | 2.700 | 2.400 | — |
| **ოთხჭიდი** (80 მ თარჯრბენი, სიმაღლე, 100 მ, ბირთვი) | — | — | 2.700 | 2.300 | 1.900 | 1.700 |
| **სამჭიდი** (100 მ, ბირთვი 4 კგ, სიმაღლე | — | — | 2.100 | 1.700 | 1.500 | 1.350 |

სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულება ჩაეთვლება აგრეთვე:

1. მარათონულ რბენაში:

ა) სპორტსმენებს, რომლებიც დაიკავებენ 1-5-ე ადგილს საბჭოთა კავშირის პირველობაზე;

ბ) სპორტსმენებს, რომლებიც ორი წლის განმავლობაში ზედიზედ დაიკავებენ მე-6-10 ადგილს საბჭოთა კავშირის პირველობაზე.

2. სპორტულ სიარულში 50 კილომეტრზე: სპორტსმენებს, რომლებიც დაიკავებენ 1-5-ე ადგილს საბჭოთა კავშირის პირველობაზე;

3. ათჭიდში და ქალთა ხუთჭი... ში: სპორტსმენებს რომლებიც და... კავებენ 1-3-ე ადგილს საბჭოთა... კავშირის პირველობაზე.

სპორტულ სიარულში 20 და 5... კილომეტრზე: თუ მსაჯთა კოლ... გიაში არის სპორტულ სიარულ... საკავშირო კომისიის მსაჯი.

სათანრიგო ნორმატივი შესრულ... ბულად ჩაითვლება იმ პირობით თ... სპორტსმენი წლის განმავლობა... მონაწილეობდა არანაკლებ შემდ... გი რაოდენობის შეჯიბრებებში:

| სახეობა | თანრიგი: სპორტის ოსტატი | I | II | III | ჭაბუკთა I | ჭაბუკთა II |
|---|---|---|---|---|---|---|
| რბენა 500 მ. 1.000 მ, 3000 მ დაბრ. სიარული 20 კმ. | 5 | 4 | 3 | 2 | — | — |
| მძლეოსნობის დანარჩენი სახეობებისათვის*) | 15 | 12 | 8 | 6 | 5 | 5 |

* აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება: ათჭიდში, მარათონულ რბენაში, 50 კმ-ზე სიარულში — ვაჟებისათვის და ხუთჭიდსა და 80 მეტრზე რბენაში — ქალებისათვის.

## ლიდერობს ნ. სალაძე

„ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირადმა პირველობამ დიდძალი მონაწილე მიიზიდა ლენინის სახელობის სპორტდარბაზში. აქ ჩამოვიდნენ მოსკოველი, ვლადივოსტოკელი, სმოლენსკელი, ალმაატელი და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების სპორტსმენები. საზოგადოების ჩემპიონის — ვ. სმოტრინას არყოფნის გამო პირველობის ალამი აღმართა საქართველოს არაერთგზის ჩემპიონმა სპორტის ამ სახეობაში, სპორტის ოსტატმა ნ. სალაძემ.

შეჯიბრება დაიწყო სავალდებულო პროგრამით. პირველ დღეს უძლიერესი იყო ივანოვოელი ოსტატი ი. ალფეროვა, რომელმაც 38,05 ქულა დააგროვა და ლიდერობა ხელთ იგდო. მაღალი შედეგები უჩვენეს აგრეთვე ახალგაზრდა გროზნოელმა ტანმოვარჯიშეებმა — ალიკოვამ, ვორობიოვამ და ვასილიევამ.

მეორე დღეს შეჯიბრებაში ჩაებნენ სპორტსმენები უკრაინიდან, ლენინგრადიდან, საქართველოდან, აზერბაიჯანიდან და უზბეკეთიდან.

გამოცდილ სპორტსმენებს შორის, რომლებმაც თავიანთი ოსტატობა ვარჯიშების მკაფიო და გამომსახველი შესრულებით დაადასტურეს, უპირველესად უოვლ... აღსანიშნავია სპორტის ოსტატ... სალაძე, რომელმაც 38,25 ქულ... ყველას გაუსწრო სავალდებუ... პროგრამაში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რ... ამ შეჯიბრებაზე საქართველ... სპორტსმენები წარმატებით გა... დიან და მაღალ შედეგებსაც აღ... ვენ. კერძოდ, ხუთი მათგანი, პ... ველთანრიგოსნები ვ. ციპლ... (36,75 ქულა), ს. მაჭავარიანი (36... ქულა), გ. ზალკინდი (36,35 ქულ... ნ. ნოვიჩენკო (35,9 ქულა) და... ხუბულავა (35,75 ქულა) საუ... თესო შანსებს ინარჩუნებენ სპო... ტის ოსტატის ნორმატივის შეს... რულებლად.

ორი დღის შეჯიბრების ჯამში ლ... დერთა ექვსეული ასეთი თანმ... დევრობით გამოიყურება: ნ. სალ... (თბილისი) — 38,25, ი. ალფერ... (ივანოვო) — 38,05, ს. ალიკ... (გროზნო) — 37,6, ი. ხუმარო... ვა — (ლენინგრადი) — 37,6, ... ზიაბინა (ბაქო) — 37,35 და ნ. ხ... ხეულიძე (თბილისი) — 37,25.

**ნ. ხალუქაძ...**

შეჯიბრების მთავარი მსა...

* * *

**სურათზე:** შეჯიბრების მონა... ლეები — დები ხალაძეები.



# კუბელები დილომში

საქართველოს სამხედრო გზატკეცილს გვერდი რომ აუქციოთ, დილმის სანახებში მომცრო ორსართულიან შენობას დაინახავთ. აქ მოთავსებულია დილმის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებელი. აქვე ცხოვრობენ ჩვენი კუბელი მეგობრები, რომლებიც დიდი ხანი არაა, რაც ჩამოვიდნენ შორეული ქვეყნიდან სასწავლებლად. გავა ერთი წელი და 44 კუბელი ახალგაზრდა დილმის სასწავლებელში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სპეციალობას შეიძენს.

კუბელ ახალგაზრდებს თავიანთი ქვეყნის რევოლუციური დღესასწაულის წინადღეს ვესტუმრეთ. 26 ივლისს, 8 წლის წინათ, ფიდელ კასტრომ და მისმა თანამებრძოლებმა შეიარაღებული გამოსვლა მოაწყეს შინაური რეაქციისა და იმპერიალისტთა წინააღმდეგ. ამ დღიდან დაიწყო კუბელი ხალხის რევოლუციური ბრძოლა და სწორედ ამიტომ ითვლება იგი რევოლუციურ დღესასწაულად.

კუბელ ახალგაზრდებს სოფლის მეურნეობის მოწყობის ყველა საკითხი აინტერესებთ, ისინი ხარბად ეუფლებიან ცოდნას. „დილმელი კუბელები" განა მარტო სოფლის მეურნეობის საკითხებს ეცნობიან, მათ ყველაფერი აინტერესებთ: სპორტი და მხატვრული თვითმოქმედება, ჩვენი ქვეყნის რევოლუციური წარსული და კომუნისტური მშენებლობის აწმყო. ამ რამდენიმე დღის წინათ აქ გადაწყვიტეს ფიზკულტურული კოლექტივის ჩამოყალიბება, აირჩიეს საბჭო 6 კაცის შემადგენლობით: რ. არკო, ა. გონსალესი, ი. მარტინი, ვ. გონსალესი და ა. განსო.

კუბელ ახალგაზრდებს სპორტზე ადრე არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდათ, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ახალგაზრდას, რომლებმაც მხოლოდ ის იცოდნენ, რომ კაპიტალისტების შვილები ჩოგბურთს თამაშობდნენ.

— თქვენ არ თამაშობდით ჩოგბურთს? — შევეკითხეთ ერთ-ერთ მათგანს.

— ჩვენ ვინ გვათამაშებდა? — კითხვითვე მოგვიგო მან.

„დილმელმა კუბელებმა" ჩამოაყალიბეს რამდენიმე სპორტული სექცია ფიზკულტურის მასწავლებლის ი. ფავლენიშვილის დახმარებით. ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთისა და შაშის სექციებში 38 კუბელი ჩაება.

— ჩვენ არ ვიცოდით რა არის კულტურული დასვენება. ახლა ჩვენი მიზანია არა მარტო ის, რომ სოფლის მეურნეობის კარგი სპეციალისტები გავხდეთ, არამედ სპორტული წრთობაც მივიღოთ და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აქ შეძენილი სპორტული სპეციალობა ჩვენს თანამემამულეებსაც გადავცეთ, — გვეუბნება კუბელ ახალგაზრდათა ფიზკულტურული კოლექტივის ხელმძღვანელი რ. არკო, — ქართველები ცდილობენ ყველაფერი კარგად გვასწავლონ, ყველაფერი გააკეთონ ჩვენთვის.

რ. არკოს თავისთავზე ლაპარაკი უჭირს, სიტყვაძუნწობს, მაგრამ ორიოდე სიტყვა მაინც გვითხრა:— მე ისეთივე ვარ, როგორიც ჩემი ამხანაგები. ერთი რამ მახარებს, რომ აქ მიღებულ ცოდნას ჩემი საყვარელი სამშობლოს განვითარებას მოვახმართ. ბატისტას რეაქციის დროს პატარები ვიყავით და მაშინ არ გვიბრძოლია, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინათ, ამერიკელთა ინტერვენციის დროს, ყველანი სამშობლოს სადარაჯოზე ვიდექით. სამშობლოს დასაცავად თავს არ დავიშურებთ.

საუბარში მეორე კუბელიც ჩაერთო: ეპიფანიო ერნანდესი—ზანგი ჭაბუკი პინარ დელ რიოს პროვინციიდან. ამ ცოცხალ ჭაბუკს სახელი უკვე გადაუქართულეს და ქართველი ამხანაგები ეპიფანეს ეძახიან. აი, რა გვითხრა მან: — ჩვენი სასწავლებლის სპორტულ ცხოვრებაში მეც ჩავები. ვმონაწილეობ სპორტის იმ სახეობაში, გუშინ რომ ვთამაშობდი. ამ პასუხმა ცოტა არ იყოს გაგვაკვირვა, მაგრამ აქ ეპიფანეს ამხანაგები წამოგვეშველნენ. ეპიფანე კვიმატი ენის კაცია, იგი ფრენბურთმა გაიტაცა და კარგადაც თამაშობს. წინათ მან არ იცოდა რა იყო ფრენბურთი, ახლა აქ გაიგო და თავისებურად შეარქვა სახელი: „გუშინ რომ ვთამაშობდი". გუშინ მართლა თამაში გვქონდა წყნეთში — პიონერთა ბანაკის ფრენბურთელებთან. აქ ეს ჩვენი პირველი საერთაშორისო შეხვედრა იყო. მოვიგეთ, მაგრამ ჩვენზე პატარებთან". ასე გაშიფრეს ეპიფანეს ნათქვამი მისმა ამხანაგებმა...

ტანმაღალი რ. ვალდესი კალათბურთის სექციაშია ჩაბმული. მისი მიზანია კარგი კალათბურთელი დადგეს. „მე უნდა ჩრდილო ამერიკელებზე კარგად ვითამაშო" — ამბობს იგი.

ყოველ დილით, 7 საათზე, ფიზკულტურის მასწავლებელ ი. ფავლენიშვილის ნიშანზე 44 კუბელი სწავლისა და შრომის დღეს დილის გამამხნევებელი ვარჯიშით იწყებს. გამრჯე და ცოდნის წყაროს მოწყურებული კუბელები ყოველ დღეს ბედნიერი ღიმილით ხვდებიან და დღესაც, კუბელი ხალხის რევოლუციურ დღესასწაულზე მათს სახეებზე ბედნიერების ნათელი კიაფობს.

ჯ. ენუქიძე

# სპორტული ფურცელი

თბილისი. „ბურევესტნიკის" სტადიონი. 25 ივლისი.

„დინამო" (თბილისი)-„ტრუდი" (ვორონეჟი) — 1:1 (0:1).

„ტრუდი": ტატარენკო; ლუკინი, ივანოვი, ბასკაკოვი; რადინი, მანუილოვი; ბამინი, სმოტრიკინი, ლიბერი, კოროტკოვი (ზოტოვი), ანდრონიკოვი.

„დინამო": კოტრიკაძე; ბ. სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა; ზეინკლიშვილი (თორაძე), იამანიძე; დათუნაშვილი, მელაშვილი, კალოევი, გ. სიჭინავა, მესხი.

მსაჯი ნ. ლატიშევი (მოსკოვი).

## ასე დაიკარგა ქულა

გუშინდელი მატჩი, სადაც თბილისის დინამოელებს აუცილებლად უნდა აეღოთ „გეგმით გათვალისწინებული" უაღრესად საჭირო ორი ქულა, საკმაოდ მოულოდნელად დაიწყო. „დინამოს" საუკეთესო მცველი ჩოხელი წამით შეფერხდა ბურთის მიღების მომენტში, რის შედეგად სტუმრების ცენტრალური ფორვარდი ლიბერი სრულიად ღია პოზიციაში გავიდა კარის წინ და ამ სახიფათო სიტუაციის უვნებელყოფა მოხერხდა მხოლოდ ორი მცველისა და მეკარის აქტიური ჩარევით. შეიძლება ეს მომენტი მაყურებელს შეუმჩნეველიც დარჩენოდა, მაგრამ ორიოდე წუთის შემდეგ ჩოხელმა ზუსტად იგივე შეცდომა დაუშვა, დაყოვნდა ბურთისათვის ბრძოლისას და კოტრიკაძეს პირისპირ შეატოვა კოროტკოვი. ამ უკანასკნელმა სწრაფად გამოიყენა შექმნილი მდგომარეობა და გახსნა ანგარიში — 1:0.

გოლი ვორონეჟის „ტრუდისაგან" მე-5 წუთზე, ეს არც ისე საშიში იყო თბილისელთათვის, რომლებსაც შეცდომის გამოსწორებისათვის წინა ჰქონდათ 85 წუთი — საკმაოზე მეტი დრო. ამ ხნის განმავლობაში „დინამოს" შეეძლო სრული ძალით გაეშალა თამაში, მეთოდური, მოფიქრებული იერიშებით აენაზღაურებინა დანაკარგი, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მაქსიმუმი, რაც გუნდმა შეძლო, ეს იყო ერთადერთი საპასუხო გოლი, რომელმაც მას მოუტანა მხოლოდ ერთი ქულა. მეორე ქულა კი ვორონეჟელებმა წაიღეს შინ.

ვორონეჟის „ტრუდი" არავითარ საფეხბურთო ამოცანას არ წარმოადგენს. ეს გუნდი მიეკუთვნება ისეთთა კატეგორიას, რომელთაც არა ჰყავთ მაღალი კლასის ოსტატები, რთული ტექნიკური პროგრამის შემსრულებლები. მათთან ბრძოლაში არ წააწყდები ტაქტიკურ სიახლეებსა და მოულოდნელობებს. ასეთი გუნდის მთავარი კოზირია უკიდურესი ბრძოლისუნარიანობა, კოლექტიურობა, გამძლეობა და მასირებული დაცვა. იგი პირველ ყოვლისა ზრუნავს საკუთარი კარის დაცვისათვის, ხოლო კონტრიერიშის შემთხვევაში იყენებს გარღვევებს სწრაფი ფორვარდების საშუალებით. ერთი სიტყვით, მისი ტაქტიკა ყოველგვარ ორიგინალობას მოკლებულია და „ღია კარს" წარმოადგენს მოპირდაპირისათვის.

და სწორედ ასეთი გუნდების წინააღმდეგ უჭირთ ხოლმე თბილისელებს თამაში. როგორც კი წააწყდებიან ისინი სიძნელეებს მეტოქეთა მხრივ ბურთის მიღებაში, მის დამუშავებაში, ირღვევა მთლიანობა საერთო ურთიერთმოქმედებაში. თავდამსხმელები იწყებენ ინდივიდუალურ ბრძოლას და საბოლოოდ თამაში გადადის თავისი კლასით უფრო სუსტი მოწინააღმდეგისათვის ხელსაყრელ კალაპოტში.

აი, მაგალითად, ერთი დეტალი განვლილი მატჩიდან. ამ დღეს განსაკუთრებით ძლიერად იბრძოდნენ „ტრუდის" მეკარე ტატარენკო და ცენტრალური მცველი ივანოვი მაღალი ბურთისათვის კარის წინ. აქ კალოევიც კი ვერაფერს გახდა. და მიუხედავად ამისა ჩვენი ფეხბურთელები 90 წუთის განმავლობაში მხოლოდ მაღალ ბურთებს აწოდებდნენ მეკარეს მოედანზე შექმნილ შეჯგუფებაში ნაცვლად იმისა, რომ მინდვრის მთელ სიგანეზე გაეშალათ ვორონეჟელთა მცველები, მოესპოთ მათთვის ერთმანეთთან ახლო კონტაქტის საშუალება და შეექმნათ სიცარიელეები გასასვლელად.

ძლიერად ითამაშა სტუმრების მარჯვენა მცველმა ლუკინმა მესხის წინააღმდეგ, რომელსაც სისტემატურად და დროულად ეხმარებოდა მარჯვენა ნახევარმცველი რადინი. მიუხედავად ამისა, მესხი ჯიუტად ცდილობდა მათთვის გვერდი აევლო ერთიდაიგივე გზით, მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ტრიუკებით და არა ტაქტიკური მრავალფეროვნებით. ამას დასჭირდა დიდი დრო, დაიხარჯა ენერგია, შედეგი კი გუნდმა ერთობ ცოტა მიიღო.

არ გაამართლა ჩოხელის გადაყვანამაც შემტევ ნახევარმცველად. „ტრუდის" საჯარიმო მოედანთან შექმნილ არეულობას იგი ემატებოდა ზედმეტ ერთეულად და არა რაიმე ეფექტის მომცემ უკანა ხაზის მოთამაშედ.

განვლილი მატჩის ფრე მით უფრო დასანანია, რომ ტერიტორიული უპირატესობა თითქმის მთლიანად დინამოელებსა ჰქონდათ. ხშირად იქმნებოდა მომენტები, როცა გოლი გარდუვალი იყო, მაგრამ ვორონეჟელები გაძლიერებული ძალებით იბრძოდნენ დაცვაში და დიდის გაჭირვებით, მაგრამ მაინც ახერხებდნენ იერიშების მოგერიებას. მაგალითად, ტატარენკო მე-17 წუთზე საჯარიმო მოედნის კუთხეში დარჩა და კარში ჩამდგარმა ორმა მცველმა მხოლოდ თვალი გააყოლეს, თუ როგორ გადაუარა ბურთმა ძელს ზევიდან. მე-60 წუთზე მეკარე კვლავ მინდორში აღმოჩნდა და ივანოვმა ზედ კარის ხაზზე მოიგერია ბურთი.

რაც უფრო დასასრულს უახლოვდებოდა მატჩი, მით უფრო მეტი ნერვიულობა ეტყობოდათ დინამოელებს. საჭირო იყო გოლი, საპასუხო გოლი და იგი გატანილ იქნა კიდეც 75-ე წუთზე: კალოევმა ორჯერ დაკარგა ბურთი მცველებთან შეტაკებისას, მაგრამ მაინც შეძლო გადამწყვეტი დარტყმის შესრულება და ტატარენკომ ვერ მიუსწრო შორეულ კუთხეში გაგზავნილ ბურთს — 1:1.

დარჩენილი 15 წუთი ცალ კარში ვარჯიშს უფრო ჰგავდა. მასპინძელთა მთელი ძალები გადასროლილ იქნა შეტევაზე. „ტრუდის" კარის შტურმში ხშირად მონაწილეობდა 6-7 დინამოელი, მაგრამ ბრძოლა ვორონეჟელთა საჯარიმო მოედანზე ინდივიდუალურ შეტაკებათა წესით წარმოებდა და ამ სტიქიურ ბრძოლაში სტუმრებმა შეძლეს კარის უვნებელყოფა. თბილისელებმა ვერ გამოძებნეს გზა თუნდაც ერთი ბურთის გასატანად და დასჯერდნენ ფრეს — 1:1.

რ. ქორიძე

### ქრონიკა

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 26 ივლისისათვის

I ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 15 | 12 | 1 | 2 | 39:18 | 25 |
| „ავანგარდი" (ხარკოვი) | 17 | 8 | 6 | 3 | 18:13 | 22 |
| „დინამო" (თბილისი) | 17 | 8 | 5 | 4 | 28:17 | 21 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 16 | 7 | 6 | 3 | 28:22 | 20 |
| ს კ ა (როსტოვი) | 16 | 8 | 3 | 5 | 32:16 | 19 |
| „შახტიორი" (სტალინო) | 18 | 6 | 5 | 7 | 18:20 | 17 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 17 | 4 | 7 | 6 | 17:24 | 15 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 18 | 4 | 5 | 9 | 21:27 | 13 |
| „ადმირალტეეცი" (ლენინგრადი) | 17 | 5 | 3 | 9 | 17:24 | 13 |
| „დაუგავა" (რიგა) | 18 | 3 | 6 | 9 | 20:34 | 12 |
| „სპარტაკი" (ვილნიუსი) | 17 | 2 | 5 | 10 | 16:39 | 9 |

II ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ც ს კ ა | 17 | 11 | 3 | 3 | 47:24 | 25 |
| „დინამო" (კიევი) | 17 | 10 | 4 | 3 | 33:17 | 24 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 17 | 9 | 4 | 4 | 32:15 | 22 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 18 | 8 | 5 | 5 | 26:29 | 21 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 18 | 7 | 5 | 6 | 30:26 | 19 |
| „სპარტაკი" (ერევანი) | 17 | 6 | 6 | 5 | 23:24 | 18 |
| „კაირატი" (ალმა-ატა) | 17 | 6 | 5 | 6 | 21:22 | 17 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 18 | 5 | 5 | 8 | 21:31 | 15 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 17 | 5 | 4 | 8 | 28:32 | 14 |
| „ბელარუსი" (მინსკი) | 17 | 2 | 5 | 10 | 13:27 | 9 |
| „კალევი" (ტალინი) | 17 | 0 | 6 | 11 | 10:37 | 6 |

„ნეფტიანიკი" (ბაქო)-„შახტიორი" (სტალინო) — 1:2

„სპარტაკი" (ვილნიუსი)-„ადმირალტეეცი" (ლენინგრადი) — 3:2

„დაუგავა" (რიგა)-„ავანგარდი" (ხარკოვი) — 1:1

• • •

„პახტაკორი" (ტაშკენტი)-„სპარტაკი" (ერევანი) — 1:0

### ქრონიკა

**ტალინი.** აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი სკფ და ბათუმის „დინამო".

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

# ცსკა—ჩემპიონი

ტულა. (ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ტულაში გრძელდებოდა ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ტურნირი. ცსკა-მ მოუგო ლენინგრადის არმიელთა გუნდს — 3:1. ამ მოგებით მოსკოველებმა გაინაღდეს პირველი ადგილი და ოქროს მედლები. მოსკოვისა და ოდესის „ბურევესტნიკის" შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 3:1. კიევისა და მოსკოვის რკინიგზელ ფრენბურთელთა შეხვედრაში კიეველებმა ტაქტიკურად სწორად წარმართეს თამაში და მატჩი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 3:1.

თბილისის „ბურევესტნიკი" შეხვდა რიგის ხკიფ-ს. თბილისელები ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, მაგრამ რიგელებმა საბოლოოდ მაინც სძლიეს და მეხუთე პარტიის მოგებით მატჩის ბედიც თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვიტეს — 3:2.

# რამდენიმე სტრიქონით

**რიგაში** მოსწავლე კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი შეხვდა ჩეხოსლოვაკიის „სლავიას". მატჩი მოიგეს სტუმრებმა — 71:59.

**დამთავრდა** საბჭოთა კავშირის პირველობა ხელბურთში. ქალთა შორის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ოდესის „ლოკომოტივმა", ვაჟთა შორის მოსკოვის „ტრუდმა"

**ბუდაპეშტში** გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს საბჭოთა სპორტსმენებმა ე. ოზოლინმა და ვ. კუზნეცოვმა. პირველმა 200 მეტრი გაირბინა 21,7, ხოლო მეორემ შუბი ტყორცნა 81 მ 74 სმ.

**„დინამოს"** სპარტაკიადაზე ჭოკით ხტომაში წარმატებას მიაღწია 17 წლის მძლეოსანმა ს. დიომინმა. მან დაძლია 4 მ 40 სმ და დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი ჭაბუკთა შორის.

**ფინეთის** ყურეში გაიმართა იახტსმენთა შეჯიბრება ნევის დიდ თასზე. „დრაკონის" კლასში გაიმარჯვა ხაბაროვმა. საერთაშორისო კლასში „5,5" პირველი ადგილი მოიპოვა გორლოვმა.



# ჩოგბურთის მოთამაშის ჩანაწერებიდან

იავორსკის იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულმა ს. ანდრეევმაც კი მიატოვა ჩვენი თამაშის ყურება, როცა ჩეხმა პირველი პარტია დამაჯერებელი ანგარიშით — 6:6 მომიგო.

დაშვებული შეცდომების მეორე პარტიაში გათვალისწინებით ჩემი მოწინააღმდეგე „ამოვხსენი" და არც ერთი ჩემი მოწოდება არ წამიგია. ასე გაგრძელდა 5:4-მდე. ამ გადამწყვეტ მომენტში მისი მოწოდებაც მოვიგე და პარტიის ბედიც ჩემს სასარგებლოდ გადაწყდა —6:4.

როგორც ჩანს, ძალები შევალიე მეორე პარტიის მოგებას და მომდევნო პარტიაში ანგარიშმა კატასტროფულად დაიწყო ზრდა იავორსკის სასარგებლოდ 5:1. დამარცხების საშიშროებამ მაიძულა ერთხელ კიდევ მომეკრიბა მთელი ძალები და ზედიზედ მოვიგე სამი გეიმი. მეთხე გეიმიც მე მიმყავდა 40:15, რომ ჩეხს ნერვებმა უმტყუნა და დამნებდა.

— შენ გაიმარჯვე, მე ფეხი მტკივა! — მოკლედ მითხრა მან და ხელი ჩამომართვა. რამდენად მართალი იყო ჩეხის ავადმყოფობა, არ ვიცი, რადგან უკვე მეორე დღეს პუქეიოვასთან ერთად შერეული წყვილების შეჯიბრებაში გამოვიდა და საბოლოო ჯამში ჩემპიონობაც მოიპოვა ამ სახეობაში.

მესამე გამარჯვებამ საკუთარი ძალების რწმენა გამიმტკიცა და მეორე დღეს თავისუფლად დავიწყე თამაში ვინმე ლუის ჯერარდთან.

პირველ პარტიაში აქაც დავმარცხდი, მაგრამ მომდევნოებში უპირატესობა არ გამიშვია ხელიდან და გავიმარჯვე ანგარიშით 2:1 (1:6, 6:4, 6:1). ჩემმა მეტოქემ ისე ძლიერად განიცადა ეს დამარცხება, რომ უკმეხად მოიცილა თავიდან გაზეთ „დეილი ექსპრესის" კორესპონდენტი ფრენკ როსტრონი. აქეთ-იქიდან შემომესივნენ ნაცნობები თუ უცნობები. ყველა ხელს მართმევდა და გამარჯვებას მილოცავდა. მეორე დღეს ს. ანდრეევმა გაზეთის ამონაჭრებით გამაცნო ჩემი გამარჯვების სენსაციურობა:

„...18 წლის ჩემპიონმა თბილისიდან ნ. მძინარიშვილმა დაამარცხა ახალი ზელანდიის № 1 ჩოგბურთელი და დიდი ბრიტანეთის მყარი კორტების ჩემპიონი ლუის ჯერარდი". — წერდა გაზეთი „გარდიანი".

გაზეთ „დეილი ჰერალდში" კი სათაურშივე ვიყავი მოხსენებული „მისტერ „მ" ამარცხებს ჯერარდს და ზრდის რუსულ საფრთხეს", შემდეგში კი მოდიოდა; „მისტერ „მ"-მა ან, რომ წარმოვთქვათ მისი ენისმოსატეხი სახელი ნუგზარ მძინარიშვილმა დაამარცხა ლუის ჯერარდი და შევიდა 16 უძლიერეს ვაჟთა სიაში. ყოველგვარი მაგალითის გარეშე ეს იყო 18 წლის რუსის თამაშის ბრწყინვალე დემონსტრირება. მით უმეტეს, რომ იგი პირველად ეწვია ამ ქვეყანას".

მესამე წრეში მე შევხვდი მსოფლიოს მეორე ჩოგნად აღიარებულ ავსტრალიელ ლევერს, რომელმაც რამდენიმე დღის შემდეგ უიმბლდონის ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა და მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონი გახდა. დავმარცხდი. (0:6, 3:6), მაგრამ ბედნიერი ვიყავი — მე ვეთამაშე მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელს და მივიღე ბრწყინვალე ტექნიკის ისეთი გაკვეთილი; რომელიც წლების მანძილზე ამახსოვრდება სპორტსმენს. მას გააჩნია ყველა ის აუცილებელი თვისება, რაც დღემდე აკლიათ ჩვენი ქვეყნის წამყვან სპორტსმენებს. ესაა ბურთის მიღება-მოწოდების სიძლიერე და არაჩვეულებრივი სიზუსტე.



სწორედ ამის გამო დასდევდა მას რამდენიმე დღეს პროფესიონალ ჩოგბურთელთა გუნდის ხელმძღვანელი ჯეკ კრამერი და სთავაზობდა მას ხელსაყრელ კონტრაქტს. მსოფლიოს ახალმა ჩემპიონმა, რომელიც 22 წლისაა, უარი განუცხადა მას პროფესიონალებში გადასვლაზე და იგი იძულებული გახდა მოლაპარაკება დაეწყო საპრიზო ადგილებზე გამოსულ ინგლისელ სანგსტერთან და ჩილელ აიალასთან.

უიმბლდონის ტურნირზე მოზრდილი ჩოგბურთელების ერთეულთა შეხვედრებში ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები კენჭისყრით უძლიერეს სპორტსმენებს შეხვდნენ და დამარცხდნენ. შედარებით კარგად გამოვიდნენ ისინი შერეულ და წყვილთა შეხვედრებში; დმიტრიევა — კუზმენკო და დმიტრიევა —ლიხაჩოვი გავიდნენ მერვედფინალში. გ. ბაკშეევამ სამეფო კლუბის ტურნირში დამარცხებისათვის ამერიკელ შაბოსთან ფინალურ შეხვედრაში რევანში აიღო და ტურნირის ჩემპიონობა მოიპოვა.

კვლავ დამეწყო მხარის ტკივილები, მე მგონია, რომ სწორედ ამიტომ დავმარცხდი მერვედფინალში გასვლისათვის ბრძოლაში ავსტრიის ჩემპიონ ბლანკესთან შეხვედრაში.

შეჯიბრების დასასრულს დაგვირიგეს უიმბლდონის საიუბილეო ტურნირის სამახსოვრო სუვენირები, რის შემდეგაც „ლაუნ ტენისის" კლუბში გაიმართა დიდი მეჯლისი ლონდონის უმაღლესი საზოგადოებრიობის მონაწილეობით.

ბრიტანეთის დედოფლისა და ტურნირის მონაწილეთა სადღეგრძელოების შესმის შემდეგ ორკესტრმა დაუკრა „გამარჯვებულთა ვალსი" და ტრადიციული მუსიკის ქვეშ დარბაზს ჩამოუარა მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონების — ავსტრალიელი ლევერისა და ინგლისელი მორტიმერის წყვილმა.

...თვითმფრინავი ნელა ეშვება საბჭოთა აეროდრომზე. ჩვენთან ერთად გადმოდიან ჯეკ კრამერის პროფესიონალი ჩოგბურთელები, მათ თავისი გზა აქვთ — ბიზნესის, ჩვენ ჩვენი — სპორტის ნათელი გზა ყოველგვარი ანგარების გარეშე.

ივლისის ბოლო რიცხვებში სხვა ჭაბუკ ჩოგბურთელებთან ერთად მივემგზავრები ბელგიაში „გალეას თასის" (ევროპის პირველობა ახალგაზრდათა შორის) ზონალურ პირველობაში მონაწილეობის მისაღებად. იქ გაიმართება ბრძოლა ფინალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლებისათვის. ეს ასპარეზობა კი საფრანგეთის ქალაქ ვიშში ჩატარდება.

**ნ. მძინარიშვილი.**

* * *

**სურათზე:** ნ. მძინარიშვილი თამაშის დროს.

დასასრული. დასაწყისი იხ. გაზ. „ლელოს" № 106.



ადამიანის სრულ განკარგულებაშია საკუთარი ტანი, რომლის რეგულარული ვარჯიშით შეიძლება ორგანიზმის საოცარი გარდაქმნა.

ამ ჭეშმარიტების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდა სპორტის სასახლეში გამოსულ ამერიკელ ძალოსანთა ჩ. ვინჩისა (მარცხნივ) და ბ. მარჩის მიერ კუნთური სილამაზის დემონსტრირება.

უმჩატესი წონის ოდნავ მრუდფეხებიანი ჩ. ვინჩი, ვარჯიშის გარეშე შეიძლება ჩია ტანის შეუხედავ ადამიანად დარჩენილიყო, სპორტმა კი იგი ათასობით გულშემატკივრის „კუნთურ საოცრებად" აქცია.

ჰარმონიულად განვითარებული ტანის ქვემძიმე წონის ძალოსანს — ბ. მარჩს მარტო კუნთები როდი აქვს გავარჯიშებული. იგი შესანიშნავად ფლობს ტანის მოძრაობას სივრცეშიც, რაც თბილისელმა მაყურებელმა მის მიერ ოსტატურად შესრულებულ მალაყში ნახა.

**სურათზე:** ჩ. ვინჩი და ბ. მარჩი მაყურებლებს აჩვენებენ ტანის სხვადასხვა მოძრაობას.

# ყველაზე გრძელ დისტანციებზე

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დიდი პოპულარობით სარგებლობს სპორტული სიარული 100 კილომეტრზე, აგრეთვე 24-საათიანი სიარული. წელს 100 კმ სვლა გაიმართა მილანში „გაზეტა დელო სპორტის" პრიზზე, სადაც გამარჯვებისათვის იბრძოდნენ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და შვეციის საუკეთესო სტაიერები. ფინიშთან პირველი იყო რომის ოლიმპიადის ჩემპიონი 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ინგლისელი დ. ტომპსონი — 8:19.37,9.

24-საათიანი სიარული ჩატარდა ინგლისის ქალაქ უილტონის სტადიონის 400-მეტრიან ბილიკზე. სტარტზე გამოვიდა 15 სპორტსმენი, რომელთაგან შეჯიბრება დაამთავრა 9 მონაწილემ. გამარჯვება მოიპოვა ინგლისელმა დ. ნელსონმა, რომელმაც დღელამის განმავლობაში 535-ჯერ შემოუარა სტადიონის ბილიკს, განვლო 214 კმ და 58 მეტრი. მან 2.940 მეტრით გაასწრო მეორე პრიზიორს, და 15 კილომეტრით მოუგო დანარჩენ მოწინააღმდეგეებს. დ. ნელსონის მაჩვენებელი ახალი მსოფლიო რეკორდია. ამას გარდა, შეჯიბრების პროცესში გაუმჯობესებულ იქნა 15-დან 24-საათიანი სიარულის ყველა მსოფლიო რეკორდი.

საინტერესოა ტომპსონისა და ნელსონის ერთსაათიანი საშუალო სისწრაფის შედარებაც. ნელსონმა საათში აჩვენა 8.916 მ სისწრაფე, ხოლო ტომპსონმა — 12.433 მ, სისწრაფე.

# ნიკოლეს 6 ბურთი

იტალიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ჯ. ფერარის ერთ-ერთ იმედს მომავალ ჩემპიონატში წარმოადგენს „იუვენტუსის" ახალგაზრდა ცენტრფორვარდი ბრუნო ნიკოლე, რომელიც გამოირჩევა მაღალი ტექნიკითა და დიდი აგრესიულობით.

საყურადღებოა, რომ ეროვნულ ნაკრებში ნიკოლეს უფრო მეტჯერ უთამაშია ცენტრფორვარდის პოსტზე, ვიდრე საკუთარ კლუბ „იუვენტუსში", სადაც თამაშობს უელსელი ჯონ ჩარლზი. „იუვენტუსის" მწვრთნელი პ. გრენი უკანასკნელ ხანებში ჩარლზს უსაყვედურებს ზარმაცობას და ხშირად ათამაშებს ჭაბუკ ნიკოლეს.

ამასწინანდელი მატჩი „იუვენტუსსა" და პარიზის „რესინგს" შორის დამთავრდა იტალიელთა გამარჯვებით — 6:2. ექვსივე ბურთი ფრანგების კარში ნიკოლემ გაიტანა.

რედაქტორი ი. უზულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05602

ეროვნული ბიბლიოთეკა